საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/75

ქ. ბათუმი 20 ივნისი, 2023 წელი

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სახურავზე 2 კვ.მ. ფართის იჯარით სარგებლობისათვის ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 2 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 თებერვლის №07-01/08 გადაწყვეტილების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 5 მაისის №103 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 13 ივნისის №685490 წერილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 24 აპრილის №01-01-10/2057 წერილის, შპს ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა-აუდიტი"-ს 2023 წლის 12 აპრილის №23/124 აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნისა და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 ივნისის №714035 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. 12-ში მდებარე (მესაკუთრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ს.კ. 05.24.05.189) **ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სახურავზე 2 კვ.მ. ფართი გაიცეს იჯარით, სამი წლის ვადით**, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული ფართის (2 კვ.მ.) საწყისი **წლიური საიჯარო ქირა (საწყისი სარგებლობის საფასური) დღგ–ის ჩათვლით, განისაზღვროს 14 400 ლარის ოდენობით.**

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს 3600 ლარის ოდენობით, ხოლო „ბიჯი" - 120 ლარის ოდენობით.

4. განისაზღვროს იჯარით სარგებლობაში გაცემის **ელექტრონული აუქციონის შემდეგი პირობები:**

ა) იჯარით აღებული ფართი გამოყენებული უნდა იქნას მობილური კავშირგაბმულობის გადამცემი ანტენის განსათავსებლად;

ბ) მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებულ ფართზე გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, რისთვისაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიის მრიცხველის განმხოლოება (ცალკე აბონენტად ან ქვეაბონენტად დარეგისტრირება) საკუთარი ხარჯებით;

გ) მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების/ნორმების დაცვა;

დ) საიჯარო ქირა გადახდილი უნდა იქნეს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

ე) მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში, საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ვ) მოიჯარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ზ) იჯარით სარგებლობაში გადაცემის **ვადა - 3 (სამი) წელი**;

თ) აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება.

5. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2023 წლის 21 ივნისს და დასრულდეს 2023 წლის 28 ივნისს (განცხადება აუქციონის თაობაზე განთავსდეს 2023 წლის 20 ივნისს).

6. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ვებგვერდზე - www.eauction.ge.

7. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განცხადების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ტექნოლოგიურ ფაკულტეტს.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე